საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების-საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის

საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში

2015 წელი
თბილისი

ISFED
სამართლიანი არჩევნებისა
და დემოკრატიის საერთაშორისო
საზოგადოება



საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA



საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

სარჩევი

I. შესავალი 4
II. კომისიის შექმნის მიზანი და შემადგენლობა 5
III. კომისიის სტრუქტურა 6
IV. კომისიის საქმიანობა 7
განცხადებების პირველადი განხილვა 7
განცხადებების არსებითი განხილვა 10
V. პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები 20
VI. გამოვლენილი სისტემური დარღვევები 23
სტრუქტურული სახის პრობლემები 24
ზეწოლის შემთხვევები 26
მოსწავლეთა საატესტატო გამოცდების დროს (ე. წ. CAT-ის გამოცდები) გამოკვეთილი ტენდენციები 28
სკოლის საქმიანობაში ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ჩარევის ფაქტები 30
საგაკვეთილო საათების განაწილებაში სამინისტროს ჩარევა 31
პროფკავშირის წევრობის გამოზეწოლის ფაქტები 32
VII. სამინისტროს რეაგირება კომისიის რეკომენდაციებზე 33
VIII. დასკვნა 34

I. შესავალი

საქართველოში 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისა და ახალი მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში - "სამინისტრო") მიმართა ასეულობით ადამიანმა სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებების შესწავლის მოთხოვნით. მოქალაქეთა უმრავლესობა აცხადებდა, რომ სამსახურიდან დაითხოვეს პოლიტიკური შეხედულებების გამო.

2012 წლის 30 ნოემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მაშინდელმა მინისტრმა, გიორგი მარგველაშვილმა, საჯაროდ მიმართა დაპირისპირებულ მხარეებს - საჯარო სკოლის დირექტორებსა და სამსახურიდან გათავისუფლებულ პირებს - და მოუწოდა პრობლემის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოგვარებისკენ. თუმცა, მინისტრის მიმართვის მიუხედავად, უმრავლეს შემთხვევაში, მხარეები ვერ შეთანხმდნენ. პრობლემის მასშტაბურობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, მინისტრმა საჭიროდ ჩათვალა, ქმედითი ზომების მიღების მიზნით, შეექმნა კომისია, რომელიც შეისწავლიდა სამინისტროში წარდგენილ განცხადებებს.

კომისიის მანდატიდან გამომდინარე, ვინაიდან კომისია ფუნქციონალურად არ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ან/და საგამოძიებო ორგანოს, პირის სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების მტკიცების ტვირთი დაეკისრა უშუალოდ განმცხადებელს. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კომისიის უარი პირის პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, არ გამორიცხავს ამგვარი ნიშნის არსებობას. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ კომისიის დასკვნა არ წარმოადგენს სხვა სახელმწიფო თუ საგამოძიებო ორგანოებში იმავე საკითხთან დაკავშირებით განმცხადებლის საჩივრის გამო მიმდინარე ნებისმიერი სახის წარმოების შეწყვეტის, შეჩერების ან წარმოების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველს. კომისიის მთავარი ფუნქცია განმცხადებლების პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტის დადგენა იყო.

წინამდებარე ანგარიშით დაცულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები, შესაბამისად, თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილ საქმეებში განმცხადებლები არ არიან იდენტიფიცირებულნი.

II. კომისიის შექმნის მიზანი და შემადგენლობა

საზოგადოებაში არსებობდა მოლოდინი, რომ სამსახურიდან გათავისუფლებულ პირთა საქმეები სამართლიანად და მიუკერძოებლად განიხილებოდა. ამ კონტექსტში, სამინისტროს ახალმა ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება, სამსახურიდან გათავისუფლებული პირების განცხადებების შესასწავლად შეექმნა სპეციალური, სამინისტროსგან ფუნქციონალურად და სტრუქტურულად დამოუკიდებელი კომისია, რომელიც დაკომპლექტდებოდა ავტორიტეტული და კვალიფიციური ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. სამინისტროს მიერ კომისიის შექმნა მიზნად ისახავდა, განცხადებების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღების გამჭვირვალე პროცესის უზრუნველყოფით საზოგადოების ნდობის განმტკიცებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №1375 (2012 წელი, 14 დეკემბერი) ბრძანებით შეიქმნა „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების-საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისია“ (შემდგომში - კომისია).

კომისია დაკომპლექტდა საქართველოს სახალხო დამცველისა და 7 არასამთავრობო ორგანიზაციისაგან, რომლებიც გამოირჩეოდნენ განათლების სისტემასა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებითა და მაღალი კვალიფიკაციით. კერძოდ, კომისიის შემადგენლობაში შევიდა შემდეგი ორგანიზაციები:

- საქართველოს სახალხო დამცველი (საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი);
- ა(ა)იპ ”ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი”;
- ა(ა)იპ ”განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი”;
- ა(ა)იპ ”სკოლა, ოჯახი, საზოგადოება”;
- ა(ა)იპ ”სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება”;
- ა(ა)იპ ”საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო”;
- ა(ა)იპ ”საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია”;

- ა(ა)იპ ”სამოქალაქო ინიციატივებისა და დასაქმებულთა დაცვის ასოციაცია”.

კომისიის წევრების მონაწილეობით შემუშავდა დებულება, რომლითაც განისაზღვრა კომისიის კომპეტენციის ფარგლები და გაიწერა კომისიის საქმიანობის წესი. კომისიის კომპეტენციაში შევიდა 2006 წლის 1 იანვრიდან კომისიის შექმნამდე - 2012 წლის 14 დეკემბრამდე - საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების თანამშრომელთა (პედაგოგების, დირექტორებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის) პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შესწავლა, შეფასება და კომპეტენციის ფარგლებში მინისტრისათვის რეკომენდაციების შემუშავება.

III. კომისიის სტრუქტურა

კომისიის დებულების თანახმად, კომისიას ხელმძღვანელობდა კომისიის თავმჯდომარე, რომელიც უძღვებოდა კომისიის სხდომებს და კოორდინაციას უწევდა სამდივნოს მუშაობას. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, სხდომას ხელმძღვანელობდა სხდომის თავმჯდომარე, რომელიც აირჩეოდა დამსწრე კომისიის წევრებისაგან. გადაწყვეტილების მიღებისას კომისიის ყველა წევრი სარგებლობდა ხმის მიცემის თანაბარი უფლებით.

ამასთან, კომისიის მუშაობის ხელშეწყობის მიზნით, სამინისტროში შეიქმნა კომისიის სამდივნო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სამდივნოს უფროსი და 4 იურისტი. სამდივნოს ფუნქციონირება უზრუნველყო სამინისტრომ.

კომისიის სამდივნოს ფუნქციები შემდეგნაირად განისაზღვრა:

- კომისიის სხდომების ორგანიზება;
- განსახილველი საკითხების სამართლებრივი დამუშავება/მომზადება;
- განსახილველი მასალების დროული და სრული მიწოდება კომისიისთვის;
- მოქალაქეებთან კომუნიკაცია/კონსულტაცია, კომისიის სხდომებზე მოწვევა;
- კომისიის გადაწყვეტილებების მიწოდება მოქალაქეებისთვის;
- კომისიის გადაწყვეტილებების წარდგენა მინისტრისთვის.

IV. კომისიის საქმიანობა

კომისია საქმიანობას ახორციელებდა სხდომების მეშვეობით. კომისიის გადაწყვეტილება მიიღებოდა კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერდნენ კომისიის თავმჯდომარე და სხდომაზე დამსწრე წევრები. კომისია გადაწყვეტილებას იღებდა სხდომაზე დამსწრე წევრთა კონსენსუსით. კომისიის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს და არ წარმოადგენს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს.

კომისიის საქმიანობა მიმდინარეობდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე მოხდა განცხადებების პირველადი განხილვა და საჭიროების შემთხვევაში ხარვეზის დადგენა, ხოლო მეორე ეტაპზე - განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების არსებითი განხილვა. განცხადებების არსებითი განხილვის ეტაპი მოიცავდა ზეპირ გასაუბრებებს როგორც განცხადების ავტორთან, ასევე საქმესთან დაკავშირებულ სხვა პირებთან.

განცხადებების პირველადი განხილვა

საქმის პირველადი განხილვის ეტაპზე კომისიამ შეაფასა განცხადებაში წარმოდგენილი მოთხოვნისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობა დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

კომისიის დებულების მიხედვით, განცხადება წერილობითი ფორმით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი შემდეგ დოკუმენტებთან ერთად:

- პირის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება. საჯარო სკოლის დირექტორის გათავისუფლების შემთხვევაში, ასევე სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი დირექტორისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე;
- სასამართლო გადაწყვეტილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- განცხადების ავტორის სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზების თაობაზე ინფორმირებული პირის/პირების ახსნა-განმარტება;
- განცხადებაში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი სხვა სახის დოკუმენტი თუ ინფორმაცია.

განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციის დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, განცხადების ავტორს საშუალება ჰქონდა, არსებული ხარვეზის გამოსასწორებლად არანაკლებ 10 დღის ვადაში, კომისიისთვის წარმოედგინა დამატებითი დოკუმენტები/ინფორმაცია.



პირველადი განხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი განცხადებების უმრავლესობა არ შეიცავდა საკმარის ინფორმაციას (დოკუმენტაციას) მათში აღნიშნული ფაქტების დასასაბუთებლად. შესაბამისად, კომისიამ განმცხადებლებისთვის შეიმუშავა დამხმარე ინსტრუქცია[1], რომლითაც დაზუსტდა ხარვეზის შესავსებად წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი.

ამასთან, კომისიის საქმიანობის შესახებ განმცხადებლებისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდების მიზნით, კომისიამ ჩაატარა **2** საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა.[2] აღნიშნულ შეხვედრებზე კომისიის წევრებმა განმცხადებლებს დეტალურად განუმარტეს კომისიის საქმიანობის წესი, კომპეტენცია და სავარაუდო დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელთა წარმოდგენაც კომისიას ხელს შეუწყობდა გადაწყვეტილების მიღებისას. საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს განათლების სისტემიდან გათავისუფლებული **356** პირი დაესწრო.

განცხადებების პირველადი განხილვის შედეგები

განცხადებების პირველადი განხილვა მიმდინარეობდა კომისიის შექმნიდან - 2012 წლის 14 დეკემბრიდან[3] - 2013 წლის 16 მაისამდე. პირველადი განხილვის ეტაპზე

[1] http://mes.gov.ge/uploads/xarvezi.pdf
[2] http://mes.gov.ge/content.php?t=srch&search=%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%90%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%94&id=4406&lang=geo
http://mes.gov.ge/content.php?t=srch&search=%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%90%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%94&id=4464&lang=geo
[3] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 14 დეკემბრის ბრძანება N1375

კომისიამ 5 თვის განმავლობაში ჩაატარა **22** სხდომა, შეისწავლა **830**[4] განცხადება და თითოეულ განმცხადებელს წერილობით აცნობა შესაბამისი გადაწყვეტილება.



განცხადებების პირველ ეტაპზე განხილვის შედეგად:

- **500** განცხადებაში იყო ხარვეზი და კომისიამ განმცხადებელს მოსთხოვა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა;

- **279** განცხადება დაუშვებლად იქნა ცნობილი, ვინაიდან მათი განხილვა კომისიის კომპეტენციაში არ შედიოდა. კერძოდ, განცხადებაში დაფიქსირებული საკითხი ეხებოდა 2006 წლამდე საჯარო სკოლებიდან და საგანმანათლებლო რესურსცენტრებიდან განმცხადებლების გათავისუფლების ფაქტების შესწავლას. შესაბამისად, კომისიამ აღნიშნული განცხადებები სამინისტროს შემდგომი რეაგირებისთვის გადასცა;

- **28** განცხადება, რომლებიც წარმოდგენილი ქნა დამატებით დოკუმენტებთან ერთად, არსებითი განხილვისთვის იქნა დასაშვებად ცნობილი.

[4] 830 განცხადება მოიცავდა კოლექტიურ განცხადებებს, ასევე, სამინისტროში სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრო უწყებებიდან გადმოგზავნილ კორესპონდენციებს, რომელთა საერთო რაოდენობამ 23–ს შეადგინა.





500 განცხადებიდან, რომლებშიც არსებობდა ხარვეზი, **223**-მა განმცხადებელმა არ წარმოადგინა დამატებითი მტკიცებულებები, რის შედეგადაც აღნიშნული განცხადებები არ განხილულა. ხარვეზი შევსებულ იქნა **277** განცხადებაზე და შესაბამისად, ისინი დაშვებულ იქნა არსებითი განხილვის ეტაპზე. საერთო ჯამში, კომისიამ **305** განცხადება არსებითად განიხილა.

განცხადებების არსებითი განხილვა

არსებითი განხილვის ეტაპზე კომისიამ დეტალურად შეისწავლა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. საქმეში არსებული მტკიცებულებების ანალიზის შედეგად კომისიამ ზეპირი გასაუბრების მიზნით, სხდომაზე მოიწვია განცხადების ავტორი ან/და საქმესთან დაკავშირებული სხვა პირები, რომლებიც ფლობდნენ რაიმე სახის ინფორმაციას განმცხადებლის სამსახურიდან გათავისუფლების გარემოებებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ კომისია გადაწყვეტილებას არ იღებდა მხოლოდ ერთი მხარის ახსნა-განმარტებაზე დაყრდნობით. საკუთარი მოსაზრებებისა და თითოეულ საქმეზე არგუმენტების სრულად წარმოდგენის საშუალება მიეცა მოწინააღმდეგე მხარესაც.

განმცხადებელთა/საქმესთან დაკავშირებულ პირთა მიერ კომისიისათვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორე დადასტურებულია მათი ხელმოწერებით. ამასთან, ზემოაღნიშნულ პირთა თანხმობის საფუძველზე მიმდინარეობდა ზეპირი გასაუბრების პროცესის აუდიო ჩაწერა. აუდიო მასალა წარმოადგენდა კონფიდენციალურ ინფორმაციას და გამოყენებულ იქნა მხოლოდ კომისიის წევრებისა და სამდივნოს იურისტების მიერ შესაბამისი დოკუმენტების (ოქმი, გადაწყვეტილება, პასუხი და სხვა) მომზადების პროცესში.

ზეპირი გასაუბრების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, კომისია შესაბამის მხარეს განუსაზღვრავდა გონივრულ ვადას გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

საქმის შესწავლის შედეგად კომისია უფლებამოსილი იყო მიეღო ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- პირის პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდის არსებობისა და მინისტრისათვის რეკომენდაციით მიმართვის თაობაზე;
- პირის პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდის არ არსებობის თაობაზე.

გადაწყვეტილების მიღების დროს კომისიამ იხელმძღვანელა დისკრიმინაციის წინააღმდეგ რეგლამენტირებული საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და შიდა საკანონმდებლო აქტებით, კერძოდ: გაეროს 1966 წლის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით (26-ე მუხლი), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციით (მე-14 მუხლი), საქართველოს კონსტიტუციითა (მე-14 მუხლი) და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ (მე-2 მუხლი).

ყველა ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტით განმტკიცებულია თანასწორობის პრინციპი და დადგენილია, რომ დაუშვებელია ადამიანების განსხვავება სქესის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ადგილის თუ სხვა ნიშნის მიხედვით.

გადაწყვეტილების მიღებისას კომისიამ ასევე იხელმძღვანელა მის მიერ შემუშავებული სამი ძირითადი კრიტერიუმით:

- ეპყრობოდა თუ არა დამსაქმებელი განსხვავებულად სამსახურიდან გათავისუფლებულ პირს;

- დამსაქმებლის მხრიდან განსხვავებული მოპყრობა იყო თუ არა განპირობებული დასაქმებულის/მასთან დაკავშირებული პირის პოლიტიკური შეხედულებებით;
- იკვეთება თუ არა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დასაქმებულის გათავისუფლებასა და მის/მასთან დაკავშირებული პირის პოლიტიკურ შეხედულებებს შორის.

კომისიამ არსებითად განიხილა **305** განცხადება. განცხადებების შესწავლა/განხილვის მიზნით თბილისში ჩატარდა კომისიის **62** სხდომა და მოეწყო **4** გასვლითი ვიზიტი საქართველოს რეგიონებში. კომისია გაესაუბრა **259**[5] განმცხადებელს და საქმესთან დაკავშირებულ **654** პირს.

აღნიშნული საქმეების განხილვის შემდეგ კომისიამ **5** საქმესთან დაკავშირებით შეწყვიტა[6] განხილვა, **23** შემთხვევაში კომისიამ გადაწყვიტა, რომ არსებობდა პირის პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდი, ხოლო **70** საქმესთან დაკავშირებით კომისიამ მიიჩნია, რომ განმცხადებლის გათავისუფლებისას არსებობდა კანონდარღვევის ნიშნები. **207** საქმეში არ გამოიკვეთა პოლიტიკური შეხედულებების გამო გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდი ან კანონდარღვევის ნიშნები.



[5] ე.წ. CAT-ის საქმესთან დაკავშირებით 46 განცხადებაზე წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით მიღებულ იქნა საერთო გადაწყვეტილება.
[6] საქმეების განხილვა შეწყდა განმცხადებლის მიერ საქმის განხილვაზე უარის თქმის ან/და გარდაცვალების გამო.



კომისიამ თბილისში ჩატარებული სხდომებისა და რეგიონებში ვიზიტების შედეგად განიხილა შემდეგი რაოდენობის განცხადება, კერძოდ:

- **თბილისი** – **121** განცხადება;
- **შიდა ქართლი** – **27** განცხადება;
- **ქვემო ქართლი** – **12** განცხადება;
- **მცხეთა-მთიანეთი** – **3** განცხადება;
- **სამცხე-ჯავახეთი** – **12** განცხადება;
- **აჭარა** – **13** განცხადება;
- **გურია** – **8** განცხადება;
- **იმერეთი** – **57** განცხადება;
- **კახეთი** – **30** განცხადება;
- **სამეგრელო** – **22** განცხადება.



თბილისში განხილული განცხადებები

არსებითი განხილვის ეტაპზე თბილისში ჩატარებულ სხდომებზე განხილული იქნა არა მხოლოდ თბილისიდან შემოსული **121** განცხადება, არამედ შემდეგი რეგიონებიდან შემოსული განცხადებები: შიდა ქართლიდან - **27**, ქვემო ქართლიდან - **12**, მცხეთა-მთიანეთიდან - **3** და სამცხე-ჯავახეთიდან წარმოდგენილი - **12** განცხადება. კომისიამ თბილისში გამართა **62** სხდომა და განიხილა **175** საქმე. მითითებული საქმეების განხილვის პროცესში ზეპირ გასაუბრებაზე მოწვეულ იქნა **525** პირი. აღნიშნული საქმეების განხილვის შედეგად კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

- **11** საქმესთან დაკავშირებით დადგინდა პირის პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდი;
- **30** საქმესთან დაკავშირებით დადგინდა კანონდარღვევის ნიშნები პირის სამსახურიდან გათავისუფლების დროს;
- **134** საქმესთან დაკავშირებით არ დადგინდა პირის პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდი.

თბილისიდან შემოსული **121** განცხადების განხილვის შედეგად კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

- **2** საქმესთან დაკავშირებით დადგინდა პირის პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდი;
- **25** საქმესთან დაკავშირებით დადგინდა კანონდარღვევის ნიშნები პირის სამსახურიდან გათავისუფლების დროს;
- **94** საქმესთან დაკავშირებით არ დადგინდა პირის პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდი.





რეგიონებში განხორციელებული ვიზიტები

განცხადებებში აღნიშნული კონკრეტული პირების სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის, განმცხადებლებთან და მოწმეებთან გასაუბრების მიზნით, არსებითი განხილვის ეტაპზე კომისია სამუშაო ვიზიტით (**4** ვიზიტი) იმყოფებოდა იმერეთში, სამეგრელოში, აჭარა-გურიასა და კახეთში.

რეგიონული ვიზიტების ფარგლებში კომისიამ არსებითად საერთო ჯამში განიხილა **130** საქმე და აღნიშნული საქმეების შესწავლის პროცესში გაესაუბრა **129** პირს:

- იმერეთში კომისიამ განიხილა **57** საქმე და გაესაუბრა **48** პირს;
- სამეგრელოში კომისიამ განიხილა **22** საქმე და გაესაუბრა **24** პირს;
- აჭარა-გურიაში კომისიამ განიხილა **21** საქმე და გაესაუბრა **19** პირს;

- კახეთში კომისიამ განიხილა **30** საქმე და გაესაუბრა **38** პირს.





ზემოაღნიშნული **130** საქმის განხილვის შედეგად კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

- **12** შემთხვევაში დადგინდა პირის პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდი;
- **39** შემთხვევაში დადგინდა კანონდარღვევის ნიშნები პირის სამსახურიდან გათავისუფლების დროს;
- **79** შემთხვევაში არ დადგინდა პირის პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდი.



ქუთაისში ვიზიტი

2013 წლის 1-3 აგვისტოს კომისია სამუშაო ვიზიტით ქუთაისს ეწვია. ქუთაისში გასვლითი სამუშაო შეხვედრის დროს კომისიამ არსებითად განიხილა **57** საქმე, მათ შორის:

- **29** პედაგოგის განცხადება;
- **25** დირექტორის განცხადება;
- **3** საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლის განცხადება.

იმერეთის რეგიონიდან კომისიაში განსახილველად შემოვიდა **99** განცხადება. კომისიის მიერ ხარვეზი დადგინდა **61** განცხადებაზე, ხოლო 38 განცხადება, შემდგომი რეაგირების განხორციელების მიზნით, გადაეცა სამინისტროს. **61** განცხადებიდან ხარვეზი შეივსო და არსებითი განხილვის ეტაპზე გადავიდა **57** საქმე.

ქუთაისში განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში კომისია გაესაუბრა **48** პირს, კერძოდ, განმცხადებლებს და საქმესთან დაკავშირებით მოწვეულ სხვა პირებს, რომელთაც შეეძლოთ ინფორმაცია მიეწოდებინათ კომისიისთვის განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

განხილული **57** საქმიდან **11** საქმესთან დაკავშირებით გამოიკვეთა პირის პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდი, ხოლო **13** საქმესთან დაკავშირებით - განმცხადებლის სამსახურიდან გათავისუფლებისას კანონდარღვევის ნიშნები.

სამეგრელოში ვიზიტი

2013 წლის 23 აგვისტოს კომისიამ რიგით მეორე გასვლითი სამუშაო შეხვედრა ზუგდიდში გამართა. ზუგდიდში გამართულივი ზიტის ფარგლებში კომისიამ განიხილა **22** საქმე, მათ შორის:

- **15** დირექტორის განცხადება;
- **5** პედაგოგის განცხადება;
- **2** საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლის განცხადება.

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარიდან პირველ ეტაპზე შემოვიდა **52** განცხადება. მითითებული რაოდენობიდან ხარვეზი დადგინდა **37** განცხადებაზე, ხოლო **15** განცხადება, შემდგომი რეაგირების განხორციელების მიზნით, გადაეცა სამინისტროს. **37** განცხადებიდან ხარვეზი შეივსო და არსებითი განხილვის ეტაპზე გადავიდა **22** მათგანი. ზუგდიდში გამართული ვიზიტის დროს კომისია გაესაუბრა **24** პირს.

განხილული **22** საქმიდან:

- **7** საქმეში გამოიკვეთა პირის სამსახურიდან გათავისუფლებისას კანონდარღვევის ნიშნები (საატესტატო გამოცდების შედეგების გათვალისწინებით ცალკეული დირექტორების დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტები, ე.წ. „CAT–ის“[7] საქმეები);
- **15** საქმეზე არ დადგინდა პირის პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდი.

აჭარა-გურიაში ვიზიტი

2013 წლის 24 აგვისტოს კომისია სამუშაო ვიზიტით ბათუმს ეწვია. ბათუმში კომისიამ განიხილა აჭარიდან და გურიიდან შემოსული **21** განცხადება, მათ შორის: გურიიდან - **8**, ხოლო აჭარიდან - **13** განცხადება. **21** განცხადებიდან **13** განცხადება წარმოადგინა დირექტორმა, ხოლო **8** - პედაგოგმა.

პირველ ეტაპზე აჭარა-გურიიდან კომისიაში განსახილველად შემოვიდა **27** განცხადება. დასახელებული რაოდენობიდან ხარვეზი დადგინდა **19** განცხადებაზე, **8** განცხადება, შემდგომი რეაგირების განხორციელების მიზნით, გადაეცა სამინისტროს, ხოლო **2** განცხადება კომისიაში წარმოდგენილი მასალის სრულყოფილებიდან გამომდინარე, დაშვებულ იქნა არსებით განხილვაზე. ამრიგად, აჭარა–გურიის რეგიონში კომისიამ არსებითად განიხილა **21** საქმე და მოცემულ საქმეებში დაფიქსირებული გარემოებების სრულყოფილად შესწავლის მიზნით გაესაუბრა **19** პირს.

განხილული **21** საქმიდან **ერთ** საქმეში დადგინდა პირის პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდი, **13** საქმეში

[7] სკოლის საატესტატო გამოცდები.

გამოიკვეთა პირის სამსახურიდან გათავისუფლებისას კანონდარღვევის ნიშნები (ე.წ. CAT-ის[8] საქმეებში), ხოლო **7** საქმეში არ დადგინდა პირის პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდი.

კახეთში ვიზიტი

2013 წლის 1-2 ნოემბერს კომისიამ ორდღიანი გასვლითი სამუშაო შეხვედრა კახეთში გამართა. კახეთში ჩატარებული შეხვედრების ფარგლებში კომისიამ განიხილა **30** საქმე, მათ შორის, კომისიამ შეისწავლა:

- **12** დირექტორის განცხადება;
- **17** პედაგოგის განცხადება;
- **1** საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლის განცხადება.

კახეთის რეგიონიდან კომისიაში განსახილველად შემოვიდა **77** განცხადება. პირველადი განხილვისას ხარვეზი დადგინდა **45** განცხადებაზე, ხოლო **32** განცხადება, შემდგომი რეაგირების განხორციელების მიზნით, გადაეცა სამინისტროს. კომისიის მიერ დადგენილი ხარვეზი გამოასწორა **30** განმცხადებელმა და სწორედ აღნიშნული საქმეები გადავიდა არსებითი განხილვის ეტაპზე. **30** საქმის შესწავლის პროცესში კომისია **38** პირს გაესაუბრა, მათ შორის განმცხადებლებს, ასევე საქმესთან დაკავშირებულ სხვა პირებს. კომისიის შეხვედრები ჩატარდა გურჯაანსა და თელავში.

განხილული **30** საქმიდან:

- **23** შემთხვევაში არ დადასტურდა პირის პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდი;
- **7** შემთხვევაში გამოიკვეთა პირის სამსახურიდან გათავისუფლებისას კანონდარღვევის ნიშნები.

[8] სკოლის საატესტატო გამოცდები.

V. პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები

პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდი კომისიის მიერ დადგინდა **23** საქმეში, აქედან, პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლდა **15** პედაგოგი, **1** – საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი და **7** დირექტორი.

კომისიაში წარმოდგენილი განცხადებების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლებას ძირითადად ადგილი ჰქონდა 2011 წლის მეორე ნახევარში და 2012 წლის დასაწყისში. პოლიტიკური ხასიათის ზეწოლას განათლების სისტემაში დასაქმებულ პირებზე უმეტესად ადგილობრივი ხელისუფლებისა და ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები ახორციელებდნენ. ამასთანავე, **9** შემთხვევაში დადგინდა, რომ განმცხადებლები პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლდნენ მათთან დაკავშირებული პირების პოლიტიკური შეხედულებების გამო.

პოლიტიკური შეხედულებების გამო კონკრეტულ პირებს სამსახურიდან წინასწარ შემუშავებული, აპრობირებული მეთოდით ათავისუფლებდნენ. პედაგოგების შემთხვევაში საჯარო სკოლის დირექტორებზე ზეწოლას ადგილობრივი ხელისუფლებისა და მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები ახორციელებდნენ, რათა მასწავლებლებთან ვადამდე შეეწყვიტათ შრომითი ურთიერთობა. არაერთ საქმეში გამოიკვეთა, რომ ზეწოლის განმახორციელებელ შუალედურ რგოლს, როგორც წესი, საგანმანათლებლო რესურსცენტრი წარმოადგენდა. უმრავლეს შემთხვევაში პოლიტიკური შეხედულებების გამო ადამიანებს სამსახურიდან ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ათავისუფლებდნენ და სამართლებრივი საფუძველი თითქმის ყველა განხილულ შემთხვევაში იყო შრომითი ხელშეკრულების მოშლა.[9] პოლიტიკური შეხედულებების გამო გათავისუფლებული **15** პედაგოგიდან შრომითი ხელშეკრულება ვადამდე **10** პედაგოგს შეუწყდა.

ამასთანავე, გამოიკვეთა, რომ პოლიტიკურად აქტიურ პედაგოგებს აიძულებდნენ პირადი განცხადების საფუძველზე დაეტოვებინათ სამსახური. აღნიშნული საფუძვლით სამსახურიდან გათავისუფლდა **2** პედაგოგი.

[9] საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს შრომის კოდექსი", მუხ. 37, პუნ. 1, ქპ. „დ".

კომისიამ პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები უმეტესად საქმეში მონაწილე პირების მსგავსი გადაწყვეტილების მიღების შესახებ ინფორმაციის დადასტურების, ე.წ. „აღიარების“, საფუძველზე დაადგინა. კერძოდ, საჯარო სკოლის დირექტორებმა თავად დაადასტურეს ცალკეული პედაგოგებისათვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მიზნით მათზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტები.

კომისია დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ 7-მა დირექტორმა პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული პედაგოგი საქართველოში 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდგომ საკუთარი ინიციატივით დააბრუნა სკოლაში. საჩხერის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი საჯარო სკოლის პედაგოგი, მ. მ., დირექტორმა 2012 წლის დასაწყისში პოლიტიკური შეხედულებების გამო გაათავისუფლა სამსახურიდან, თუმცა ხელისუფლების ცვლილების შემდეგ საკუთარი ინიციატივით, პედაგოგის დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით ზემოხსენებული პირი დააბრუნა სამსახურში და დანიშვნის ბრძანების ტექსტში პირდაპირ მიუთითა მ. მ.-ს სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების შესახებ.

პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან პედაგოგების გათავისუფლების მსგავსად, ერთგვაროვანი მეთოდი გამოიყენებოდა საჯარო სკოლის დირექტორების გასათავისუფლებლადაც. კერძოდ, გამოიკვეთა, რომ დირექტორები პოლიტიკური ხასიათის დავალებებს იღებდნენ როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებისაგან. ხელისუფლების წარმომადგენლები დირექტორებს უკრძალავდნენ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე სუბიექტებთან/მათთან დაკავშირებულ პირებთან ნებისმიერი სახის თანამშრომლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ სამსახურიდან გათავისუფლებით ემუქრებოდნენ.

კომისიის მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია: იმ სკოლებს, რომლის დირექტორებიც არ ასრულებდნენ პოლიტიკური ხასიათის დავალებებს ან/და ოპოზიციური პოლიტიკური ძალის მხარდამჭერებად მიიჩნეოდნენ, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი ამოწმებდა, შემოწმების შედეგად კი აუდიტის დეპარტამენტის დასკვნა უმრავლეს შემთხვევაში დირექტორის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი ხდებოდა. თვალსაჩინოებისთვის მიმოვიხილავთ კომისიის მიერ შესწავლილ რამდენიმე საქმეს.

საჯარო სკოლების დირექტორების თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტები

2011 წლის ბოლოსა და 2012 წლის დასაწყისში საჩხერის მუნიციპალიტეტში გაათავისუფლეს საჯარო სკოლების დირექტორები. განმცხადებელთა საქმეების შესწავლისა და საქმესთან დაკავშირებული პირების გამოკითხვის საფუძველზე საჩხერის მუნიციპალიტეტში გათავისუფლებული დირექტორების საქმეში გამოიკვეთა იდენტური ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ:

ა(ა)იპ ასოციაცია „ატუ"-სა[10] (შემდგომში – „ატუ") და საჯარო სკოლის დირექტორებს შორის სხვადასხვა პერიოდში გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულებები. 2011 წლის ბოლოს ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების (იმერეთის გუბერნატორის მოადგილე, საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი) მხრიდან დიდი დაინტერესება გამოიწვია ასოციაცია „ატუ"-სთან დირექტორების მიერ საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების საკითხმა და დირექტორებთან შეხვედრებზე ხელისუფლების წარმომადგენლები კატეგორიულად მოითხოვდნენ, სკოლებს შეეწყვიტათ ხელშეკრულებები ასოციაცია „ატუ"-სთან. მიზეზად სახელდებოდა პოლიტიკური შეხედულებები ბიძინა ივანიშვილისა, რომელიც აღნიშნულ ორგანიზაციასთან დაკავშირებულ პირად მიიჩნეოდა და ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობას ხელისუფლება დირექტორების მხრიდან ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ მხარდაჭერად აღიქვამდა. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში დირექტორებს სამსახურიდან გათავისუფლებით ემუქრებოდნენ.

საჩხერის მუნიციპალიტეტის 5 საჯარო სკოლის დირექტორმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მოთხოვნის მიუხედავად საგრანტო ხელშეკრულება გააფორმა ასოციაცია „ატუ"-სთან, რაც აღნიშნული დირექტორების თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა.

ზემოაღნიშნულ საქმეებში ერთგვაროვანი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, კომისიამ დაადგინა, რომ სამსახურიდან გათავისუფლებისას საჯარო

[10] ა(ა)იპ „ასოციაცია ატუ" იყო საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელსაც საგრანტო ხელშეკრულებები ჰქონდა გაფორმებული საჩხერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებთან და ასოცირდებოდა ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო საქმიანობასთან.

სკოლის დირექტორების[11] მიმართ ადგილი ჰქონდა პოლიტიკური ნიშნით შერჩევით მიდგომას.

კომისიამ დაადგინა, რომ ერთ-ერთ შემთხვევაში დირექტორი სამსახურიდან გაათავისუფლეს მისი ნათესავის პოლიტიკური შეხედულებების გამო. კერძოდ, განმცხადებლის, ნ. მ.-ის, ნათესავი ლ. ჩ. 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საარჩევნო ბლოკიდან – „ალიანსი საქართველო“ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯუმათის თემის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იყო. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ნ. მ.-სგან მოითხოვდნენ, დაერწმუნებინა ნათესავი, მოეხსნა კანდიდატურა არჩევნებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, განმცხადებელს სამსახურიდან გათავისუფლებით ემუქრებოდნენ. განმცხადებელმა აღნიშნული დავალების შესრულებაზე უარი განაცხადა, რაც მისი სამსახურიდან გათავისუფლებით დასრულდა. გათავისუფლების ბრძანებას საფუძვლად დაედო სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ირაკლი ანდრიაშვილის, მოხსენებითი ბარათი, რომელიც მოსწავლეთა საატესტატო გამოცდაში სკოლების არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო დირექტორებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტას შეეხებოდა, რაც თავის მხრივ, უკანონო იყო, რადგანაც მოსწავლეთა საატესტატო გამოცდების არადამაკმაყოფილებელი შედეგები მოქმედი კანონმდებლობით არ არის დირექტორის გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი.[12]

VI. გამოვლენილი სისტემური დარღვევები

კომისიის მიერ საქმეების განხილვის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი სახის პრობლემები:

- სტრუქტურული სახის პრობლემები – სამინისტროს ადმინისტრაციის თანამდებობის პირების, შიდა აუდიტისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების მხრიდან შრომით ურთიერთობებში ჩარევა;

[11] სსიპ საჩხერის №2 საჯარო სკოლა, სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სავანის საჯარო სკოლა, სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის საჯარო სკოლა, სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ იტავაზის საჯარო სკოლა, სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ გამოღმა არგვეთის საჯარო სკოლა.

[12] საატესტატო გამოცდების არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო სამსახურიდან გათავისუფლების პრაქტიკის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. გვ. 28-ზე.

- ზეწოლის მეთოდები – ადმინისტრაციულ შენობებში შესვლისას ჩხრეკის ჩატარება, პირების პირადი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან წასვლის იძულება;
- მოსწავლეთა საატესტატო გამოცდების (ე.წ. "CAT"-ის გამოცდები) არადამაკმაყოფილებელი შედეგების საფუძვლით ცალკეული სკოლის დირექტორების სამსახურიდან გათავისუფლება;
- სკოლის საქმიანობაში ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ჩარევა;
- საგაკვეთილო საათების განაწილებაში სამინისტროს ჩარევა;
- პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების გამო ზეწოლა.

სტრუქტურული სახის პრობლემები

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა არის საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელსაც[13] აქვს ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომია,[14] რაც ნიშნავს სკოლის დამოუკიდებლობას მისთვის კანონით მინიჭებული უფლებების განხორციელებაში.

მიუხედავად სკოლის ავტონომიურობისა, კომისიის მიერ შესწავლილი მასალების შედეგად დადგინდა, რომ სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის / მოცემულ სამინისტროში შექმნილი იურიდიული პირების წარმომადგენლების მიერ საჯარო სკოლის დირექტორებზე ხორციელდებოდა ზეწოლა და მუქარა, რაც შემდეგში გამოიხატებოდა:

- საჯარო სკოლის დირექტორებს სამინისტროსა და აღნიშნულ სამინისტროში შექმნილი იურიდიული პირების თანამდებობის პირები ავალებდნენ სამსახურიდან გაეთავისუფლებინათ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პედაგოგები;

[13] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 2, ქპ. „რ“; მუხ. 3, პუნ. 2, ქპ. „ვ“.

[14] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითმმართველობა: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი და სააპელაციო კომიტეტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

- სამინისტროს შიდა აუდიტი შერჩევით, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების გარეშე ამოწმებდა საჯარო სკოლებს და მისი დასკვნის საფუძველზე ათავისუფლებდნენ დირექტორებს სამსახურიდან[15]. შიდა აუდიტის სამსახურის მიერ სკოლის შემოწმებას, უმეტეს შემთხვევაში, წინ უძღოდა სხვადასხვა თანამდებობის პირის მხრიდან (საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები) დირექტორებისათვის დავალებების მიცემა პოლიტიკურად არასაიმედო პედაგოგების სამსახურიდან გათავისუფლების ან/და იმდროინდელი მმართველი პარტიის – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ – წინასაარჩევნო ღონისძიებებში დირექტორებისა და სკოლის თანამშრომლების მონაწილეობის თაობაზე.

სამინისტროში დაბარებების, ზეწოლისა და მუქარის გარდა, დირექტორებს დავალებებს აძლევდნენ მმართველი პარტიის ოფისებსა თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. ისეთ შეთხვევებში, როდესაც დირექტორები მიღებულ დავალებას არ ასრულებდნენ ან ადგილობრივი ხელისუფლებისა თუ პარტიის მიერ მიიჩნეოდნენ პოლიტიკურად არასაიმედო პირებად, აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე მათ საბოლოოდ ათავისუფლებდნენ თანამდებობიდან.

გათავისუფლების დროს სამინისტრო აქტიურად იყენებდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით[16] დადგენილ პროცედურას: სკოლის სამეურვეო საბჭოს ეგზავნებოდა შიდა აუდიტის დასკვნა და მინისტრის ბრძანება, რომლის მიხედვით, სამეურვეო საბჭოს განსაზღვრულ ვადაში უნდა მიეღო გადაწყვეტილება დირექტორისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე. მსგავს შემთხვევებში სკოლის სამეურვეო საბჭოებს არ ჰქონდათ საშუალება, გამოეყენებინათ კანონით მინიჭებული უფლება[17] და დაესაბუთებინათ პირადი გადაწყვეტილება დირექტორისათვის უფლებამოსილების შეწყვეტაზე უარის თქმის შესახებ, რადგან უმეტესად მოცემული პროცესი სამინისტროს მხრიდან ზეწოლისა და მუქარის ფონზე მიმდინარეობდა. ზეწოლა ძირითადად საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან,

[15] მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამინისტროს შიდა აუდიტი წარმოადგენს სკოლის მაკონტროლებელ ორგანოს, სტრუქტურულ ქვედანაყოფს, რომელიც ახორციელებს სკოლის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას, თუმცა მათ მიერ სკოლების შემოწმება ხორციელდებოდა სუბიექტურად, კერძოდ, ამოწმებდნენ მხოლოდ იმ სკოლებს, რომლებიც არ ასრულებდნენ სამინისტროს პოლიტიკური ხასიათის დავალებებს.

[16] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 49, პუნ. 6-6[1].

[17] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ.49, პუნ. 6[1].

ადგილობრივი თვითმმართველობისა და ძალოვანი უწყებების წარმომადგენლების მიერ ხორციელდებოდა, რაც რიგ შეთხვევებში თავად სამეურვეო საბჭოს წევრებმა დაადასტურეს.

ცალკეულ შემთხვევებში სამეურვეო საბჭო ზეწოლის მიუხედავად დირექტორს არ ათავისუფლებდა თანამდებობიდან, რის შემდეგ მინისტრი იყენებდა მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებას[18] და ბრძანებით ათავისუფლებდა დირექტორს სამსახურიდან. საქმეების განხილვისას ასევე გამოვლინდა მინისტრის მიერ სკოლის სამეურვეო საბჭოს დათხოვნის ფაქტი, როდესაც სამეურვეო საბჭომ მინისტრის მოთხოვნით არ შეუწყვიტა უფლებამოსილება სკოლის დირექტორს.

რაც შეეხება დირექტორის მოვალეობის შემსრულებლებს, მათი გათავისუფლება უშუალოდ მინისტრის ბრძანებით ხდებოდა შიდა აუდიტის დასკვნის საფუძველზე. თუმცა, რიგ შემთხვევებში, ეს პროცესიც დირექტორებზე ზეწოლით მიმდინარეობდა.

ასევე გამოვლინდა განმცხადებლის ოჯახის წევრებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტი. კერძოდ, საგარეჯოს ერთ-ერთი საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ჩატარებიდან მეორე დღეს, მას შემდეგ, რაც სამეურვეო საბჭომ არ შეუწყვიტა უფლებამოსილება დირექტორს, ადმინისტრაციული წესით დააპატიმრეს განმცხადებლის მეუღლე. ამასთანავე გამოიკვეთა, რომ თანამდებობის დატოვებაზე უარის თქმის შემთხვევაში დირექტორს შვილის დაპატიმრებით დაემუქრა გამგებელი. იმავდროულად დაპატიმრებით ემუქრებოდნენ უშუალოდ დირექტორის შვილსაც და აიძულებდნენ, რომ დედას დაეწერა განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ.

ზეწოლის შემთხვევები

კომისიამ გამოავლინა, რომ სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ ცალკეულ პირებზე სამინისტროს ხელმძღვანელი პირების უშუალო დავალებით[19] ხორციელდებოდა ზეწოლა და მუქარა, ხოლო მოცემული პირების სამინისტროში დაბარებისას, ადმინისტრაციულ შენობაში შესვლამდე, მათ უტარდებოდათ დეტალური შემოწმება, ე.წ. „ჩხრეკა“. კერძოდ, განმცხადებლებზე ზეწოლა-მუქარა ხორციელდებოდა იმ მიზნით, რომ მათ პირადი განცხადების საფუძველზე დაეტოვებინათ სამსახური. აღნიშნული მეთოდი ძირითადად გამოიყენებოდა სკოლის დირექტორებისა და

[18] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ.49, პუნ. 6[1].
[19] ადმინისტრაციის უფროსი, შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსების მიმართ. ასეთი ფაქტები გამოიკვეთა **17** საქმეში.

აღსანიშნავია **9** საჯარო სკოლის დირექტორის საქმე. მოცემული სკოლების მოსწავლეებმა 2010 წლის ნოემბერში მონაწილეობა მიიღეს საატესტატო გამოცდების წინააღმდეგ მოწყობილ აქციაში, რის გამოც სკოლების დირექტორებმა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის (ი. ანდრიაშვილი) მხრიდან განხორციელებული ზეწოლის გამო პირადი განცხადებით დატოვეს სამსახური.

წარმოდგენილი მასალების შესწავლისა და განმცხადებელთა/მოწმეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე დადგინდა, რომ დასახელებული დირექტორების გათავისუფლების პროცედურა შემდეგნაირი იყო: სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი (ირაკლი ანდრიაშვილი) იბარებდა საჯარო სკოლის დირექტორებს. ანდრიაშვილთან შეხვედრამდე, სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში შესვლამდე, დაბარებულ დირექტორებს ამოწმებდნენ (ჩხრეკდნენ) და ხორციელდებოდა პირადი ნივთების ჩამორთმევა. შემოწმების შემდეგ დაცვის თანამშრომელი დირექტორებს აცილებდა ირაკლი ანდრიაშვილის კაბინეტამდე. იქ დირექტორებს ხვდებოდა უშუალოდ შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი და მათ სთხოვდა, დაეწერათ პირადი განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. ხშირ შემთხვევაში განმცხადებელს ახვედრებდნენ სამსახურიდან წასვლის თაობაზე უკვე გამზადებულ განცხადებას, რომელზეც მას მხოლოდ ხელი უნდა მოეწერა. დირექტორის (განმცხადებლის) დასარწმუნებლად, რომ პირადი განცხადებით წასულიყო თანამდებობიდან, შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მიმართავდა მუქარას ან სხვაგვარად ახდენდა სიტყვიერ ზეწოლას.

ცალკეულ შემთხვევებში ანალოგიური სახის ზეწოლა ხორციელდებოდა ადმინისტრაციის წარმომადგენლების მხრიდან. ასეთ შემთხვევებში განმცხადებლებს იბარებდნენ სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსთან, გენრიეტა მუმლაძესთან, რომელიც განმცხადებლებისგან ითხოვდა სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადების დაწერას. კომისიის მიერ გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც განცხადების დაწერა საჯარო სკოლის დირექტორს მოსთხოვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის მოადგილემ, აკაკი სეფერთელაძემ. კერძოდ, განმცხადებლის (დირექტორის), გ. კ.-ის, საქმეში გამოიკვეთა, რომ დირექტორი შიდა აუდიტის მიერ

სკოლის შემოწმების დაწყების დღესვე დაიბარეს სამინისტროში, სადაც მას შეხვდა აკაკი სეფერთელაძე და პირადი განცხადებით სამსახურიდან წასვლა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ანგარიშსწორებით დაემუქრა. დირექტორმა სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადება იმავე დღეს დაწერა. განმცხადებლის განმარტებით, გათავისუფლებას წინ უძღოდა პოლიტიკური შეხედულებების გამო პედაგოგების სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე მისთვის უკანონო დავალებების მიცემა, რომელსაც დირექტორი შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ირაკლი ანდრიაშვილისა და ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებისგან იღებდა.

მოსწავლეთა საატესტატო გამოცდების დროს (ე. წ. CAT-ის გამოცდები) გამოკვეთილი ტენდენციები

საქმეთა შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ საჯარო სკოლის დირექტორების გათავისუფლების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა 2011 წლის საატესტატო გამოცდების არადამაკმაყოფილებელი შედეგები.

იმ შემთხვევებში, როდესაც სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს მიერ იყო არჩეული, ვადამდე ადრე თანამდებობიდან მას ათავისუფლებდნენ სამინისტროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ირაკლი ანდრიაშვილის, მიერ სამეურვეო საბჭოსათვის გაგზავნილი წერილის საფუძველზე. ხსენებულ წერილში აღნიშნული იყო, რომ სკოლის საატესტატო გამოცდების შედეგები ვერ პასუხობდა ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს და იმ მოტივით, რომ დირექტორების მიერ მოსწავლეთა აკადემიური დონის ასამაღლებლად სათანადო ღონისძიებები არ იქნა გატარებული, სამეურვეო საბჭოებს სთხოვდნენ დირექტორების თანამდებობიდან გათავისუფლებას წერილის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში.

იმ შემთხვევებში, როდესაც დირექტორი მოვალეობის შემსრულებელი იყო, იგი თანამდებობიდან გათავისუფლდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ირაკლი ანდრიაშვილის, 2011 წლის 8 ივლისის მოხსენებითი ბარათის (№15987) საფუძველზე. აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მოხსენებით ბარათებსა და სამეურვეო საბჭოებისათვის გაგზავნილ ზემოთ ხსენებულ წერილებში დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების

ერთი და იგივე საფუძველია მითითებული – სკოლების მიერ საატესტატო გამოცდებში ნაჩვენები არადამაკმაყოფილებელი შედეგები.

კომისიამ დაადგინა, რომ 2011 წლის საატესტატო გამოცდებზე კონკრეტული საჯარო სკოლების მოსწავლეთა მიერ მიღებული შედეგების საფუძველზე გათავისუფლდა **46** დირექტორი. სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გათავისუფლების მოტივად მიუთითა 2011 წლის საატესტატო გამოცდებზე კონკრეტული საჯარო სკოლების მოსწავლეთა არადამაკმაყოფილებელი შედეგები, რომლებიც, მისივე დასკვნით, ვერ პასუხობდა ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს.

ნიშანდობლივია, რომ საატესტატო გამოცდების არადამაკმაყოფილებელი შედეგების საფუძვლით გათავისუფლებულ დირექტორთა შორის არიან იმ საჯარო სკოლების დირექტორებიც, რომელთა მოსწავლეების 100%-მა გადალახა მინიმალური ზღვარი. ასევე გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც დაკავებული თანამდებობიდან არ გათავისუფლდნენ იმ სკოლის დირექტორები, რომელთა მოსწავლეებსაც საატესტატო გამოცდებში უფრო დაბალი შედეგები ჰქონდათ, ვიდრე მოსწავლეებს, რომელთა სკოლის დირექტორებიც გათავისუფლდნენ თანამდებობიდან.

კომისიის მიერ წინამდებარე საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა და დღესაც არ ითვალისწინებს დაკავებული თანამდებობიდან დირექტორის გათავისუფლების საფუძველს საატესტატო გამოცდების არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ირაკლი ანდრიაშვილის, წერილში არ არის მითითებული კონკრეტულად ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი რომელი ნორმა არ შეასრულეს სკოლის დირექტორებმა და რა გავლენა მოახდინა ამან საატესტატო გამოცდების შედეგებზე, რაც გახდა მათი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.

ამდენად, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიერ დასახელებული მოტივი (2011 წლის საატესტატო გამოცდებზე კონკრეტული საჯარო სკოლების მოსწავლეთა მიერ მიღებული შედეგები ვერ პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს), რომელიც

საფუძვლად დაედო დირექტორების მასობრივ გათავისუფლებას დაკავებული თანამდებობიდან, იყო უკანონო, ატარებდა შერჩევით ხასიათს და გამოყენებული იქნა სუბიექტურად, რაც წარმოადგენდა სისტემური ხასიათის პრობლემას.

სკოლის საქმიანობაში ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ჩარევის ფაქტები

საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირების მხრიდან სკოლის მართვაში ჩარევის ტენდენცია. მსგავს ქმედებებს (სკოლის მართვაში ჩარევა) ახორციელებდნენ ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური პარტიის – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ – ლიდერები ადგილობრივ დონეზე. აღნიშნული პირების მეშვეობით პარტია აქტიურად ერეოდა საჯარო სკოლების კომპეტენციაში.

კომისიის მიერ განხილულ ცალკეულ საქმეებში გამოვლინდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები იბარებდნენ სკოლის დირექტორებს და მოითხოვდნენ პედაგოგების გათავისუფლებას, ძირითადად მათი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მიზეზით. გარდა ამისა, ხშირად ხდებოდა ისეთი ფაქტები, როდესაც დირექტორებს ავალებდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მოწყობილ აქციებზე პედაგოგების მიყვანას. რიგ შემთხვევებში ასევე გამოიკვეთა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მხრიდან საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოების არჩევნებში ჩარევის ფაქტებიც, როდესაც პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ცდილობდნენ მათთვის სასურველი კანდიდატურები (პარტიული აქტივისტები) შეეყვანათ სკოლის სამეურვეო საბჭოში.

კომისიის მიერ განხილულ **5** საქმეში გამოიკვეთა სამეურვეო საბჭოზე ზეწოლის შემთხვევები საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან, ხოლო **1** საქმეში – სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლების მხრიდან. სამეურვეო საბჭოებზე ზეწოლა მიმდინარეობდა სკოლის არჩეული დირექტორებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის მიზნით, რათა ისინი პოლიტიკურად საიმედო კადრებით შეეცვალათ.

საგაკვეთილო საათების განაწილებაში სამინისტროს ჩარევა

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სკოლის ავტონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, მასწავლებლებისათვის საგაკვეთილო საათების განაწილება შედიოდა სკოლის (პედაგოგიური საბჭოს) კომპეტენციაში.[20] ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 21 ოქტომბრის №576 ბრძანებით (შემდგომში — №576 ბრძანება) განისაზღვრა მხოლოდ საჯარო სკოლების პედაგოგთა შრომის ანაზღაურების ოდენობის გამოთვლის წესები და ხელფასზე დანამატის გაანგარიშების კრიტერიუმები.

საქმეთა შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ 2011 წლის 28 ივნისს საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო სკოლის დირექტორს გაეგზავნა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის, გენრიეტა მუმლაძის, წერილი[21], რომლითაც სკოლებს დაევალათ სერტიფიცირებული პედაგოგებისათვის მიეცათ სრული[22] ან სრულზე მეტი[23] საათობრივი დატვირთვა და ხელფასზე დანამატის სახით მიეღოთ 75 ლარი. ადმინისტრაციის უფროსის აღნიშნული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მითითებული იყო №576 ბრძანება.

კომისიის აზრით, სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის ზემოაღნიშნულ დავალებას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა და უკანონო იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

- კანონის თანახმად[24], მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ბოლო ვადად განისაზღვრა 2014 წლის ბოლო და ამ ვადამდე სერტიფიკატის არქონა არ შეიძლებოდა ყოფილიყო გათავისუფლების საფუძველი;[25]

- ზემოაღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული იყო საჯარო სკოლების პედაგოგთა მხოლოდ შრომის ანაზღაურების ოდენობის გამოთვლის წესები და ხელფასზე დანამატის გაანგარიშების კრიტერიუმები. მინისტრის №576 ბრძანება სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მიერ წერილის გაგზავნის

[20] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხ. 46, ქპ. „ა“.
[21] წერილი N08-1-20/7371 (28.06.2011).
[22] 18-19-20 საგაკვეთილო საათი კვირაში.
[23] 21 ან მეტი საგაკვეთილო საათი კვირაში.
[24] „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ.61.
[25] ”ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონი, მუხ. 61, 2 პუნქ. 2.

მომენტისთვის არ ავალდებულებდა სკოლას პედაგოგისთვის მიეცა სრული ან სრულზე მეტი საგაკვეთილო დატვირთვა. თუმცა, თუ პედაგოგს ჰქონდა ასეთი დატვირთვა, მითითებული ბრძანების თანახმად, მას ეძლეოდა ხელფასზე დანამატი 75 ლარის ოდენობით[26] ყოველთვიურად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის №08-1-20/7371 (28.06.2011) წერილი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 21 ოქტომბრის N576 ბრძანების[27] არასწორი ინტერპრეტაცია, რამაც გამოიწვია სკოლებში საგაკვეთილო საათების ხელახლა განაწილება და ნაწილობრივი დატვირთვის[28] მქონე მასწავლებლების უკანონო გათავისუფლება სამსახურიდან.

პროფკავშირის წევრობის გამო ზეწოლის ფაქტები

2010 წლის ივნისში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, დიმიტრი შაშკინმა, საჯარო სკოლის დირექტორებს მოუწოდა[29], რომ სკოლის ადმინისტრაციას არ გადაერიცხა საწევრო შენატანი საქართველოში მოქმედი ყველაზე დიდი პროფესიული კავშირის - „საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის“ ანგარიშზე. აღნიშნულის მიზეზად მინისტრი ასახელებდა სკოლასა და პროფკავშირს შორის კოლექტიური ხელშეკრულებისა და პროფესიული კავშირის წევრების წერილობითი თანხმობის არარსებობას. ამასთან, საჯარო სკოლის დირექტორებმა სამინისტროდან და საგანმანათლებლო რესურსცენტრებიდან მიიღეს ზეპირი მითითება, რომ პედაგოგები გადაეყვანათ ა(ა)იპ „განათლების პროფესიულ სინდიკატში“, რომელიც დაფუძნდა 2010 წელს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სკოლას შეამოწმებდა სამინისტროს გენერალური ინსპექცია (შემდგომში - გენერალური ინსპექცია), რასაც მოჰყვებოდა დირექტორების გათავისუფლება.

[26] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 21 ოქტომბრის №576 ბრძანება, 5[1] მუხლი, 23.06.2011 რედაქცია.
[27] იმ პერიოდისათვის მოქმედი რედაქციით.
[28] 18 საგაკვეთილო საათზე ნაკლები კვირაში.
[29] http://mes.gov.ge/content.php?id=940&lang=geo

მოქმედი კანონმდებლობით[30] პროფესიული კავშირისათვის საწევრო შენატანის გადარიცხვა წარმოადგენდა დამსაქმებლის (ამ შემთხვევაში) სკოლის ადმინისტრაციის ვალდებულებას და ეს საკითხი არ შედიოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის კომპეტენციაში.

მინისტრის ზემოაღნიშნული განცხადების შემდეგ საჯარო სკოლების უმრავლესობამ შეწყვიტა პედაგოგთა საწევროების გადარიცხვა პროფესიული კავშირის ანგარიშზე. თუმცა, კომისიის მიერ შესწავლილი მასალების თანახმად, გაირკვა, რომ რამდენიმე სკოლამ არ შეასრულა მინისტრის დავალება. კომისიამ აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით გამოითხოვა ინფორმაცია სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტიდან და „საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირიდან“. მოწოდებული მასალის საფუძველზე გამოირკვა, რომ 2010 წლის 2 ივლისიდან 2010 წლის 5 ივლისის ჩათვლით სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ შერჩევით შეამოწმა ექვსი[31] სკოლა. ამასთან, წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ მხოლოდ აღნიშნულ ექვს სკოლას ჰქონდა საწევრო თანხები გადარიცხული „საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის“ ანგარიშზე. ექვსივე სკოლის დირექტორი გათავისუფლდა სამსახურიდან შიდა აუდიტის დასკვნის საფუძველზე.

VII. სამინისტროს რეაგირება კომისიის რეკომენდაციებზე

კომისიის მუშაობის პარალელურად და მის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, სამინისტრომ შეიმუშავა მათზე რეაგირების ორი მექანიზმი:

- იმ შემთხვევებში, როდესაც კომისიამ დაასაბუთა პირების პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები და შესაბამისი რეკომენდაციით მიმართა მინისტრს, სამინისტროს მხრიდან აღნიშნულ პირებს შესთავაზეს შესაბამისი სამუშაო ადგილი. მოცემული საქმეები ასევე შესასწავლად საქართველოს პროკურატურას გადაეგზავნა;

[30] „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 21, პუნ. 5, მუხ. 25, პუნ. 3; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირს შორის გაფორმებული (1998 წლის 22 აპრილი) დარგობრივი კოლექტიური შეთანხმება, მუხ. 4.13

[31] სსიპ ქუთაისის №29 საჯარო სკოლა, სსიპ ქუთაისის №37 საჯარო სკოლა, სსიპ ქუთაისის №15 საჯარო სკოლა, სსიპ ქუთაისის №18 საჯარო სკოლა, სსიპ ქუთაისის №38 საჯარო სკოლა, სსიპ ქუთაისის №23 საჯარო სკოლა.

- იმ შემთხვევებში, როდესაც კომისიამ დაადგინა კონკრეტული პირების სამსახურიდან გათავისუფლებისას კანონდარღვევის ნიშნები, შესაბამისი საქმეები შემდგომი სამართლებრივი რეაგირებისათვის განსახილველად გადასცა მინისტრს, რომელმაც აღნიშნული მასალები გადაგზავნა საქართველოს პროკურატურაში.

პოლიტიკური შეხედულების გამო სამსახურიდან გათავისუფლების **23** შემთხვევებში, რომლებზეც კომისიამ რეკომენდაციით მიმართა მინისტრს, **20** განმცხადებელი დასაქმებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგის ან დირექტორის პოზიციაზე. სამმა განმცხადებელმა უარი თქვა შეთავაზებულ სამუშაო ადგილზე.

გარდა ამისა, **93** განმცხადებლის საქმე, რომელთა შემთხვევაში კომისიამ დაადგინა, რომ არსებობდა პოლიტიკური შეხედულების გამო ან/და კანონდარღვევით სამსახურიდან გათავისუფლების ნიშნები (23 საქმეში დადგინდა პოლიტიკური შეხედულებების გამო პირების სამსახურიდან გათავისუფლების დასაბუთებული ვარაუდი, 70 საქმეში დადგინდა პირების სამსახურიდან გათავისუფლებისას კანონდარღვევის ნიშნები), გადაეგზავნა საქართველოს პროკურატურას.

VIII. დასკვნა

კომისიის მიერ საქართველოს მასშტაბით შემოსული განცხადებების განხილვის, შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა განათლების სისტემაში არსებული სხვადასხვა სახის პრობლემა, კერძოდ:

- პოლიტიკური შეხედულებების გამო ცალკეული პირების სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები;
- სამინისტროს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლების მხრიდან საჯარო სკოლის დირექტორებზე ზეწოლა სამსახურის დატოვების მიზნით; საჯარო სკოლის დირექტორებზე ზეწოლა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო ან/და პოლიტიკურად არასაიმედო პედაგოგების სამსახურიდან გათავისუფლების მიზნით;

- სკოლების შემოწმების დროს სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის შერჩევითი მიდგომა, რომლის მიზანი იყო არასასურველი დირექტორების თანამდებობიდან გათავისუფლება;
- მოქმედი კანონმდებლობის არასწორი ინტერპრეტაცია სამინისტროს მხრიდან არასასურველი კადრების გათავისუფლების მიზნით (საატესტატო გამოცდების შედეგების გათვალისწინება, საგაკვეთილო საათების განაწილება, არასერტიფიცირებული პედაგოგების გათავისუფლება და სხვა);
- სამინისტროს მიერ საჯარო სკოლებში დასაქმებულთა მიერ პროფესიულ კავშირებში საკუთარი არჩევანისამებრ გაერთიანების უფლების შეზღუდვა;
- ცალკეული უწყებების მიერ სკოლის ავტონომიურობის პრინციპის დარღვევა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კომისიის საქმიანობის შედეგად გამოვლინდა როგორც პოლიტიკური შეხედულებების გამო ცალკეული პირების სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები, ასევე, სხვადასხვა სახის კანონდარღვევის შემთხვევები, რომლებიც დამკვიდრებული იყო სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო უწყებების საქმიანობაში. აღნიშნულმა განაპირობა, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებების დარღვევა და, მეორე მხრივ, უარყოფითი გავლენა მოახდინა განათლების სფეროში განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად განხორციელებაზე.